2011 წელს სტუდენტები სახელმწიფო დაფინანსების მოპოვებას (გაუმჯობესებას) ზოგადი უნარების შედეგით შეეცდებიან.

კონკურსისათვის რეგისტრაცია დაიწყება 14 თებერვალს და გაგრძელდება 25 მარტის ჩათვლით. მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge ან online.naec.ge) ინტერნეტით უნდა გაიარონ.

ინტერნეტით რეგისტრაცია

ინტერნეტით რეგისტრაციისათვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი) და აგრეთვე მან უნდა გადაიხადოს კონკურსში მონაწილეობის საფასური (გადახდის ფორმები აღწერილია ქვემოთ).

1. ინტერნეტით რეგისტრაციას სტუდენტი გადის ვებგვერდზე www.naec.ge ან online.naec.ge;

2. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ სტუდენტი სპეციალურ ველში უთითებს 11 ნიშნა პირად ნომერს, რის შემდეგაც, სისტემის მოთხოვნის შესაბამისად, ქმნის მომხმარებლის სახელსა და პაროლს (ამ ინფორმაციას მიიღებს ელექტრონული ფოსტითაც, რომელსაც მიუთითებს შესაბამის ველში);

3. სისტემა, 11 ნიშნა ნომრის შეყვანის შემდეგ, თავად სვამს სტუდენტის სახელს, გვარს, მისამართს და სხვა ინფორმაციას შესაბამის ველებში (თუ ასეთი პირადი ნომრის მქონე პიროვნება არ მოიძებნა რეესტრის ბაზაში, სისტემა აცნობებს სტუდენტს ამის შესახებ);

4. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გადახდის შესახებ (თუ გადახდა არ დადასტურდა სტუდენტი ამის შესახებ მაშინვე შეიტყობს);

5. აუცილებელი ველების შევსების შემდეგ სტუდენტი მიიღებს შეტყობინებას, რომ მან წარმატებით გაიარა რეგისტრაცია (ამ შეტყობინებას მიიღებს ელ. ფოსტითაც);

6. სტუდენტს არ სჭირდება ფოტოსურათის გადაღება და ატვირთვა - პლასტიკური ბარათის დამზადებისას სისტემა სამოქალაქო რეესტრის ბაზაში არსებულ ფოტოს გამოიყენებს;

კონკურსში მონაწილეობის საფასურის (10 ლარი) გადახდა (ნაღდი ანგარიშსწორებით ან გადარიცხვით) შესაძლებელია შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

– სსიპ ,,გამოცდების ეროვნული ცენტრი~;

– ს/კ 202198727;

– სს ,,საქართველოს ბანკი~;

– ბანკის კოდი: 220101502;

– ანგარიში: GE96BG0000000877412000.

გადახდის შესაძლო საშუალებები და ტარიფები:

1. საქართველოს ბანკის ფილიალებში - საკომისიო 50 თეთრი;

2. ვებგვერდზე www.ipay.ge - საკომისიო 1 ლარი;

3. ,,აიფეის" აგენტების ქსელში (საჯარო რეესტრის სააგენტოებში) - საკომისიო 50 თეთრი.

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს სტუდენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) სერია და ნომერი.

საგამოცდო ბარათებს სტუდენტები მიიღებენ უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებში.